

140 / 2
1987



სიმბოლო

9
1987

სონო სარაზიშვილი



სტორია დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას, საცა აღუშართავს ერს თავის დიდებულ და დიდებუნივან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წაუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ერთა საშვილიშვილო ანდერძი, — უბრძანებია დიდ ილიას.

მართლაც, ქართველი კაცი დღემდე თუკი რაიმეთი მოსულა, ამ თავმოწონებითაც — წარსულში ხატებდალ დარჩენილ ერისშვილთა სახეებით, მათ კაცურ საქმეთა ვახსენებითა და ბაშეთი, ეროვნული კულტურისა და ყოფის, ეროვნული სულიერებისა და ვეჟაცობის უდიადესი ნაშთებით.

ასეთ ნაშთებს — ძეგლებს ჩვენი ზუნებისას, ისტორიისას, კულტურისას და არქეოლოგიისას — დღემდე აღწერილ-აღუწერელს, 20.000-ს იფლის ჩვენი რესპუბლიკა.

ჩვენი მწელია ნახო სოფელი, მერტადრე, ძველი — უციხობ და უეკლესიოდ. ვერც ისეთ ბიჭსა და გოგოს შეხვდები, თავისი სოფლის ძეგლის მიდამოები ბარე ათჯერ არ დავლაშქროს, საკუთარი ხელისგულებით რომ არ „დაეპაშინეკბინოს“ დროებისგან შექმულ კედლებში ჩაშენებული ვეება ლოდების ხავსიანი სივრცელ, ერთხელ მაინც რომ არ ეცადოს საუკუნოვან წარწერათა

ასომთავრულის დამოუკიდებლად ამოკითხვას...

მე არ ვიცი, ამ ასაკში — პირტიტველა ბიჭობასა და მოუთმავრებელ გოგობაში — რა შეიძლება ეწოდოს იმ იღუმალ გრძნობას, რომელსაც ჩვენი წარსულის ძეგლებთან მივეყვართ... მხოლოდ მაღალური ცნობისმოყვარეობა?.. თორემ... მამულის სიყვარული, ასეთ დიდ სიტყვებს აგრე უბრალოდ ყმამწვილობაში ვინ წარმოთქვამს...

მაგრამ ალბათ იგი მაინც აქედან იწყება — ჩვენი ბევრების საყვარელი ძეგლების თვალსშეჩვეული სანახებიდან, აქაური ადგილის დედის სიყვარულიდან...

ჩაბი, შანი—


ჩვენი ისტორია

ალბათ ბევრი შეძახება არ სჭირდება იმ სიხარულს, რომელსაც, ახალგაზრდების შხარდი პატრიოტული ენთუზიაზმის შემყურე, განიცადის საქართველი. ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა — სტუდენტები, პროტექტსაწავლებლების მოსწავლეები, ახალგაზრდა სპეციალისტები — დღემდე გულმართლად მოპყვებიან ამ რამდენიმე წლის წინათ ისევ მათივე გულმხურვალეობით დაწყებულ პატრიოტულ საქმეს — ჩვენი ერის კულტურულ-ის-

ტორიულ სიძველეთა შენახვასა და გაახლებებაში მონაწილეობას. მათი პატიოსანი და უნავარო შრომის მოწმე დღეს არაერთი ძველი გვაქვს: კვეტრა და შიომღვიმე, ზობის მონასტერი და მესხური ტერასები, ვარძია და ვანის ქვაბები, უჯარმა და აწყურის ტაძარი, გრემ-გალაქი და ნარიყალა...

ამ სიხარულთან ერთად ჩვენ სხვაც გვახარებს: ძეგლის ნორჩ მებგობართა რესპუბლიკურ შექრებაკონკურს „ჩუქურთმას“, რომელსაც საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან, განათლების სამინისტროსა და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საზოგადოების პრეზიდენტთან ერთად პერიოდულად ატარებს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტი, ემატება და ემატება აქტიური მონაწილე და მხარდამჭერი. აბა, გადახედეთ ძეგლის საუკეთესო ნორჩ დამცველთა გრძელსასის... ვის კეთილ საქმეს არ დავმგზავრებთ — თბილისელი და ასპინძელი მოსწავლეებისას, გურჯაანელებისას და გორელებისას, ზუგდიდელებისას და ცხაიელებისას, ახალციხელებისას, ამბროლაურელებისას, სამტრედიელებისას...

ჭუთაისის მე-8 და 22-ე საშუალო სკოლების მოსწავლეთა სისტემა



აღმოსავლეთის სიონი (ს. სალუხე)



სალონი (ს. სალუხე)

18467

ქეზო შეფები ჰყავთ გელათის ტაძარსა და მწვანეყვავილას ეკლესიას. ვინის რაიონის სოფლებს — ისარიის, გორისა და სულორის საშუალო სკოლების ბიონერთა ხელპარჯეობა ვაზნარის წმინდა გიორგის, ქვაშეთისა და სამგელის ეკლესიების ღვთისმშობლის ტერიტორიებზე ატყვია. ძველების სიყვარულში სხვებს არც მიაკავსელო მოსწავლეები ჩამორჩებიან, განსაკუთრებით, ზედაზნგელი და წითელგებედი ბიონერები. მათი წყალობით, წმინდა გიორგისა და დეცების ეკლესიებს ჰქონდა სოფლისუფალი და მიმხედავი არ აკლია.

პატარა შეფებს უქებენ საკანდარაშვილის სასაფლაოს წმინდა გიორგის ეკლესიას (ცხაკაიას რაიონი), ციხე „შეუბოვარსა“ და დედა ღვთისას ეკლესიას (ტყეხულის ზონა), კოთედიასა და ბარათელის სიფის ეკლესიებს (ახალქალაქის რაიონი), ყარაგზოზიშვილების კოშკს, მკვდილჯვრის ეკლესიას, საშაბურას კოშკსა და გრემისხევის ციხეს (დუშეთის რაიონი), წუნდის ეკლესიას (ასპინძის რაიონი), გორის ციხეს...

გორის ბიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა კლუბ „ლიახვის“ საინტერესო მუშაობაზე აღრცე გვსმენია, ამჯერად გვინდა ასპინძის, ისტორიული სიძველეებით ამ მართლაც რომ გამოჩენულად მდიდარი რაიონის, მოსწავლეთა პატრიოტულ საქმიანობაზე მოგთხროთ... დაბა ასპინძის საშუალო სკოლაში რა ხანია, არსებობს ძველის ნორჩ მეგობართა წრე. სკოლაში საზოგადოებრივ საქ-

ციებზე შექმნილია საქართველოს ძველია და ცეცის საზოგადოების მუზეუმი, რომელსაც არ აკლია ბიონერთა მონდობა, მისი ექსპოზიცია მდიდარია ბიონერების მიერ მოძიებულ არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ დოკუმენტური მასალით, ასე გასინჯეთ, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიც.

რახან კარგ შეფებზე ვთქვი... ახმეტელები რომ გამოჩენულად ამყოფენ ალავერდი და კვეტერათი, ამაში აქ ერთი წუთის დაყოვნებითაც დარწმუნდებით. მართლაც რომ სანაქებო პატარა შეფები ჰყვია კვეტერას — ნაღუქნარის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები, ქვემოლვანელი მოსწავლეების საქმიანობა მაინც უნდა გამოვყოთ... ბიონერებმა, ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობის მშრომელების მხარდამხარ, დიდი შრომა გასწიეს: ცხაკაიასა და ნათლისმცემლის ეკლესიებამდე მისასვლელი სამკილომეტრიანი გზების გაყვანაში მიიღეს მონაწილეობა, გზისპირებზე მწვანე ნარგავები გაამწვრივეს... ქვეყნის ისტორიის მეგობარ თანატოლებს არც ზემოლვანელი და ქისტაურელი მოსწავლეები ჩამორჩნენ — ბევრ სტუმარს რჩება თვალს სკოლებში მათ მიერ მოწყობილი ეთნოგრაფიული კუთხეებზე.

„სიხე მბაბარი“

რუხის ციხეზე მოარულ ლეგენდებს ხალხის მეხსიერების მრავალი ჯებირი გადაუღალავს. ლევან დღიანი მიერ XVII საუკუნის პირველ ნახევარში აგებული ულამაზესი ცი-




წარღალაშენი (XIII საუკუნე)

ხე კი ჯერაც დგას ენგურზე „გასასვლელის მცველად“ და „ოღიშის დასავლეთის ქიშკრის დარჯად“.

ციხეობა კედლებზე ამობღებული ქინკაბიჭებით ზნორად „ხაზობს“ რუხის ციხე-გალავანი. ეს ბიჭები ციხის შეფები არიან — რუხის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ბორის გვაზავა)... მეცნიერკლასელი ბიჭები — ჯერაც ციხეზე არსებული ხალხური გადმოცემების ტყვეობაში მყოფები...

ციხის უფრო მაღალი კოშკის ზედა საკანმდე — „მაკი ხეტიას თათამდე“ ხელის ერთი გავჯვანდა დარჩა... სულ ცოტაც და... საჯნის ვიწრო საჩემელში წყვილ-წყვილი ცნობისმოყვარე თვალა რაგარიგობით იჭყიტება. ესეც ერთი „სამამიო საქმე“, თანატოლ ბიჭებში რიხით მოსაყოლი... — ხუმრობა ხომ არ არის, სოფელში ბიჭი არ დღის,



საქართველო (XIII საუკუნე)

საპროდუქციო კლავსი და
 3. ი. ლინის სახლის
 კომპლექსი რეაბილიტაციის
 ინსტიტუტის საპროდუქციო
 სპეციალიზირებული
 სახავეში დაგეგმილი




პროდუქტი
 1926
 იმუნიუმი

საპ. კლავსი
 პროდუქციონი


9 **სექტემბერი 1987**

საქ. სსრ კ. მარტოვი
 ხაზ. სსრ მარტოვი
 პროდუქტი

მაცი ზეტიას „ოთახის“ ნახვაზე რომ არ ოცნებობდეს...

ეს ბიჭები — ნაპოლონ ფარცვანია, ნიკა გუნავა, რამაზ ნიგურაიანი და ზაზა ფიცხელიანი, თანაყვანილ გოგონებთან — ლელა ფარცვანიასთან, ინვა თოდუასთან, თეა კაკალიაშვილთან, ნინო ციკოლიასთან, ელიკო ოქუჯავასთან და ირმა ფიცხელიანთან ერთად, თამაშ მასწავლებლის „შეგირდები“ არიან, ციხის მოვალეა და ქვეყნის ისტორიის სიყვარულსაც მისგან სწავლობენ. თამაშ თოდუა, სკოლის დირექტორის პოაღლილე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში, მათ ქართულ ენასა და ლიტერატურასაც ასწავლის, მაგრამ აქ, რუხის ციხის გაღვივებულ ვეება ეზოში ჩატარებულ „მეცადინეობებს“ — ძეგლის დასუფთავებას, ქვა-ლორღის ქვევით ჩაზიდვას, რუხის ციხესა და მათს უძველეს სოფელზე განაგონი ათობით ლეგენდს, ვინ იცის, მერამდენედ მოსმენას, მაინც სხვა ხიბლი აქვს, სხვა ანდამატი...

რუხის ციხით პირველად ამ ოთხი წლის წინათ დაინტერესებულან დღევანდელი შეფები, ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭოს (ხელმძღვანელობს რაიადმასკომის თავმჯდომარე შალვა ქობიალია) მოთხოვნით დაწყებულია ციხის სარესტავრაციო სამუშაოები. რუხელ უფროსკლასელებსაც მათზე გამოუღიათ პირველად ხელი — მოსწონებით მშენებელ რესტავრატორებთან მუშაობა, მათი დავალებების შესრულება, ციხის ტერიტორიიდან სამშენებლო ნარჩენების გატა-



სახარა (X საუკუნე)

ნა... მხოლოდ ეს ერთი წელია, რაც საქმეს ოფიციალურ პატრონებად მოეციდნენ.

სულ 80 ძეგლია გამოვლენილი ზუგდიდის რაიონში. ვერ იტყვი, რომელიმეს აკლია პატრონი და მიახედავიო... ახალგაზრდობაა ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭოს მთავარი დასაყრდენი. ძეგლთა შეფობის საქმეში თვალსაჩინოა ზუგდიდელ მოსწავლეთა წვლილი. როგორც აქ გვითხრეს, გულმოდგინე ნორჩი შეფები ჰყოლია ისტორიულ ადგილ „ნალიმას“, ჭაქვინჯის ციხეს, ცაიშისა და კორცხელის შესანიშნავ ეკლესიებს. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმსაც ბევრი სიკეთე შეემატა მოსწავლეთა გულ-

მოდგინებამ. თუნდაც ეს ვიქტორია რუხელ, ოქტომბრულ, ცაიშულ, ჭი-თაწყარულ, ნარაზენულ, მისწავლულ; თა მიერ მოპოვებული „მისწავლულ“ როგანი ექსპონატები; ან მასწავლებლების — არისა შამუგასა და გულნარა ცერცვაძის ხელმძღვანელობით, ცაიშისა და ოქტომბრის სკოლებში საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე შესანიშნავი მე-ჩემეები...

ნამდვილად სასიამოვნოა ეს პატრიოტული თავგამოდება, რომელსაც იჩენენ ჩვენი ძეგლის ნორჩი დამცველები... მაგრამ, მოლოთ, ამ ყველაფერს ჭერ კიდევ ნუ დაჯარქმევთ ხმაილად სახელს... შევეცადოთ კი გავათმაგოთ ჩვენი საერთო მოწადინება: მეტი გულსტიკვილითა და სიყვარულით ჩაიხვილოთ ჩვენი კუთხეებში, ქალაქებში, სოფლებში მიმოფანტული იშვიათი სილამაზის, იშვიათი კულტურული, ისტორიული, არქეოლოგიური თუ არქიტექტურული ღირებულებების ძეგლთა დაცვის საქმეში.

მეტი გულსტიკვილით დავუტრაილდეთ ჩვენი გვერდით მდებარე ციხე-ტაძრების ეზოებსა და მისახედ-მოსახედებს. დავიცვათ მათი კედლები ბოროტი მკაწყვრელების „ზედმეტი“ ცნობისმოყვარეობისაგან; გვიყვარდეს საქართველო და, რადგან სამშობლოს სიყვარული სხვა არაფერია, თუ არა ზრუნვა მისი წარსულისა და მომავლისათვის, ჩვენც წარსულით დავიწყეთ, რომ მომავალ თვალეებში მეტი სითამამით შეგვხვდეთ.



დასაბრუნებელი (XI საუკუნე)



მსახი გაკვირებული შესტყვის მწერთნელს. ის კი მშვიდად იღიბება და ეუბნება:

— ჩადგეს!

თენგიზი კარში დგას და დამცინავი ღიმილით შემოგვექვრის. ყველასთვის აშკარაა, ვინც მას ბურთს გაუტანს, საქმე მასთან ექნება. მძიმე სინოზე ჩამოვარდა. ბურთისკენ არავინ იძვრის.

— ვინ დაარტყამს?! — გვეკითხება მსახი.

უცებ მწერთნელის მზერა ვიგრძენი. „შენ რაინდი ხარ, იცოდ, მე მხოლოდ მამაცებს ვეცმ პატვის!“ — გამასხვდა მეგის ნათქვამი. მაშინვე წავიდე ბურთისკენ. აუჩქარებლად მივედი, სელში შევატრიალე-შემოვატრიალე და მოხერხებულად დავადე. მერე წელში გავსწრაფილი და თენგიზს შეხსენე. ბოროტად მიმჭრდა და ციცი ღიმილი ნიღბივით ეფარა სახეზე. მსაჯობა ნიშანი მოცხა. უკან დავიხიე, წამით შევეყოფიდი — კარსა და თენგიზს თვალი შევევლე. კუთხე მოვიინიშე, გამოაქვნიდი და თვალით მონიშნულ კუთხეში ბურთი ზადეში გავასვიე. თენგიზი არც კი შეტკეპულა...

მწერთნელმა იმ დღეს მოედინიან სელგადასაყვული გამოყვანა და მითხრა:

— ყოჩად, დევი, გისურვებ, ცსოურებაშიც ყოველთვის ასე გაგემარჯვოს!

სალამოს, ნავასშევეს, სასადილოდან რომ გამოვევლით, თენგიზი მოვიდა ჩემთან, — შენთან საქმე მაქვს და ერთი წუთით აქით წამოშვეყო. ვიცილი, ეს რასაც ნიშნავდა, მაგრამ ამ შევეყოვნებულვარ. მიჭვბიცი გამოვეყვინენ. საძინებელი კორპუსის უკან გავდვიდი.

— შენ დღეს მე გამაპასსრავე, ამიტომ პასხი უნდა ავო! — თქვა თენგიზმა და მეკრდელ სელი მტრა.

— დევის თავი დანებე, თორემ რაც სივრძე გაქვს, სივრძედ გავსდი! — გაისხა უცებ და მიჭვბის გამოყოფო პირველის ნაკრების მოთამაშე ირაკლი მეზენიშვილი, შევევრმანი, სპორტული აღნაგობის გურჯაანელი მიჭვი. თენგიზს მსარზე ღონივრად დაქპრა სელი და თავისკენ შეატრიალა. — გეყო, რაც თიხვედე! — უთხრა და მუშტი ნიკაპქვეშ ახოხლო. თენგიზი გაშრა. ეტყობოდა, საქმის ასე შეტრიალებას არ მოელოდა. თვალეში ერთბაშად მიში ნიღბად, მკლავები ჩამოყარა და მორჩილად დაუდგა წინ.

— აბა, სწრაფად მოეცხე აქედან, თორემ! — თქვა ირაკლიმ, მუშტი მსუბუქად ამოარტყა ნიკაპში და უკან უბიძგა.

თენგიზი უხმოდ გატრიალდა და წავიდა. ვიღაცამ გაუბედავად დაუსტინია, მას მაშინვე მეორე აპყვა და უცებ გამაყრუებელი სტენვა გაისხა. მეორე დილით თენგიზი ზანაქში აბავის უნახავ...

ავიზლანზე და შინისკენ წამოვედი. სასლში არავინ იყო. დედაჩემის მიერ მწენთვის შედგენილი საჭმლის ჰუბის ინსტრუქცია მაგიდაზე იდო:

„ნისტი, დევი, პირველი კერძი — წყინიანი მწვანე ქვაბით დგას მაცივარში, მეორე — თეთრ ქვაბში, მწვანილი და ხელი გარეცხილია!...“ ქალაღდს წკაპურტი ვიკარი და მაგიდის კუთხისკენ გავაცურე. სამზარეულოდან ისე გამოვედი, სელი არაფრისთვის მისლბა. ერთხანს ოთახებ-

ში უაზროდ ვიბორიალე, ტელევიზორიც ჩავრთე, ყველა არსი შევამოწმე, მაგრამ გადაცემა არც ერთ არსზე არ მიდლოდა. ტელევიზორი გამოვრთე, ლოჯიაში ვამოვევლი და ღია ფანჯრას გადავეყუდე. ფანჯრიდან ვიყურებოდი და ათას რაღაცაზე ვფიქრობდი. უცერად ხარმა დარეკა. კარი გავაღე და ვიგრძენი, როგორ ერთბაშად მომელო სახეზე სინოლდე, კრინტი ევლარ დავატარა.

— შეიძლება შემოვიდე? — მეკითხება მეგი. ჩემი ჩანთა მკერდზე მიუხსებია და ჯვარედინად დაუწევია სელეში.

საოცრად მომიინდა, კარი მიმხსურა, მაგრამ უკანასკნელ წამს ველიე ამ ჩემს იდიოტურ სურვილს და რაც შეიძლება ღვარძლიანად ვამობ:

— მოზრძანდი, ქალბატონო მეგი! — ღია კარში გაუტოკებლად ვიდექი.

მეგიმ კარს მომხსნა და უსიტყვოდ ჩამიარა, უფრო სწორად, კარის წირთხლსა და ჩემს შორის დარჩენილ ვიწრო სივრცეში შემოიძურწა. კარი მიხსურე და შე- მოსასხლელში აწურულ, ჩანთახსებულ მეგის მზერა შევაკლე.

— რას მოათრევიდი ამ ოხრადდარჩენილს, მეტი საქმე არ გქონდა?! — ვიყვირე უცებ. მეც არ ვიცოდი, რა მემართებოდა.

— რატომ მიყვირი, დევი?! — მეგის ლოყები ერთბაშად აუვარდისფერდა.

„დევი!“ როგორცდ უცნაურად ჩამესმა. ალბათ ასე დაუბასებს სახელს მოთმინიერებული თავის ურჩ, გასაწვრთნელ ცხოველს. ამ ერთ სიტყვაში იგრძნობოდა შექება, ბრძანება, გულისტკივლი და თანადრობა.

— მახატო, რატომ კობრბი ან აქელად არ წამოილო? — ვთქვი, მეგის მიუხასლოვამ და ჩანთა გამოვართვი. — მადლობელი ვარ, შემოიდი!

— არა, მეჩქარებ. ჩანთას მე წვიდე-მეთქი. თან ელენე მასწავლებლმა დამავალა... — მეგი უცებ გაწმედა.

— ვიცი, მე თვითონ ვეტყვი ჩემ შობობებს. შენ გჯერა, რომ ფული მე ავიღე?

წამით დუმილი ჩამოვარდა.

— რომ მეჯეროდეს, აქ არ მოვიდოდი! — შვიდად მითხრა მეგიმ და სასიდან თბა გადაიწია.

— რატომ არ გჯერა, როცა... — ჩემი გონებაში რაღაც ბუნდოვანმა აზრმა გამოიბინა. ნუნთა კუთხეში მოვიხროლდე, მეგის ხელზე ვტაცე სელი და ნაჩქარევად ვუთხარი:

— წამოიდი!

ბინის კარი გავიკეტე და კიბეზე კისრისტიკით დავეშვიით. ისე სწრაფად მიცმედა გული, რომ პაერის ჩახსუნთქვას ვეღარ ვასწრებდი. ქუჩაში გავბრლოდი უსიტყვოდ. მეგი მორჩილად მომდევდა, ცდილობდა არ ჩამომტრეწოდა. რამდენიმე კორპუსს ჩავეტრინალე, მერე მარცხნივ გავუსხვიეთ და ქუჩის ზემოთ გაშენებული კორპუსებში სკენ გავუყვით ვზას. ბოლო კორპუსს რომ მივაღწიეთ, თვალთ მოვკარი იმის, ვისთანაც მივრბოდი. უბოს განაპირას, ტროტუარის კიდეზე იჯდა ორ მეექვსეკლასელ მიჭვიან ერთად და რაღაცას ულაპარაკებოდა. ჩვეყენ სურგით იჯდა, მაგრამ თითქოს ტანმა უგრძნო, მოისხედა, მერე უცებ გვერდულად შემოტრიალდა და, რომ

ღარწმუნდა, მასთან მივდიოდი, უცებ წამოსტა და სვეის-კენ თავქუდმოგლეჯით გაიქცა. მეგის ხელი ვუშვი და და-ვეღღაწე. გვიმ, ეტყობა, იგრძნო, რომ ვერ გამექცეოდა, მოწყვეტილ მუხრად და თავნაღლუნული, ფეხისწევრით მიწის ჩიჩქანს მოჰყვა.

— რატომ ვარბოდი?! — სმაურიან სუნთქვას ამოუაყო-ლუ სიტყვები, გვივით ვეცი მკერდზე პერანგს, მოვკუ-

ლო ვთქვა, მე არ ვიციო, თუ ამოიღო და, ეს რას ნიშ-ნავს?! — გავიფიქრე. ასლა მისმა ასეთმა, თითქმის წე-ზითმა აღიარებამ სინარულის ნაცვლად, რატონად ვე-ლი მომიბოძა.

— რამდენი იყო?! — ჰკითხა მეგემ.

— ექვსი. — ისევ მშვიდად უპასუხა გვიმ და აბურძე-ნილ თმაზე ხელი გადაისვა.

— დანარჩენი?! ნინო მას-წაღლებულს სომ ას ოცდა-ცამეტი მანეთი დაეკარ-გა?! — ისევვე ჰკითხა მეგემ.

გვიმ მსრები აიჩეჩა:

— მე არ ვიცი.

— რა ჯანდაბანთვის გინ-დოდა ის ფული?! — ვიყვირე უცებ.

— გურამისთვის მქონდა მისაცემი სამი მანეთი. სას-ლში დედაჩემს ვერ ვეტყო-დი — მას არა აქვს ფული.

— გურამისი გეზბოთა?

— არა, მიონხრა სამი მანე-თი მიმოვე, თორემ გცემო!

— თორემ გცემო, — სმა-

დებლა, უსიცოცხლოდ გა-ვიმეორე. — თორემ გცემო,

— ვთქვი ისევ და უცებ სა-ოცარი დალდა ვიგრძენი.

უფრო სწორად, დალდაზე უფრო უარესი, მძიმე და

შემაწუნებელი რაღაც იყო. გივი თავდასრილი იდგა.

ფერგამკრთალ სახზე უმ-წოხა აღბეჭდოდა. თვალში

მეცა მისი ვიწრო, სუსტი

მსრები. საოცრად შემეცო-და, მაგრამ ეს არ იყო მარ-ტო მისი ფიზიკური სისუს-


ტით გამოწვეული გრძობა.

ვმ უფრო სხვა, რაღაც ჩემთვის გაურკვეველი გრძობა იყო. მომინდა, ხელი გადამეხრია და მეთქვა, ნუ გეშინ-ნია, მე ყოველთვის შენს გვერდით ვიქნები და შენს თავს არავის დაეჩაგვრინებ-მეთქი, მაგრამ ამის ნაცვ-ლად ვუთხარი:

— გივი, იცოვ, ამ ამბავს მე არავის ვუტყვი! გავიცეით შემომხედა. მის თვალბუში აშკარად ჩანდა გაკვირება და უნდაბლობა.

— დამიჯერე, ჭეთის გეფიცები, ჩვენ სამის მეტეს არა-ვის ეცოდინება! — მტკიცედ ვუთხარი. — წამოდი, მეგი.

გაურკვეველი გრძობით სავეს მოვდიოდი. ჩემს გო-ნებამი ნაიზ-ნაირი ფიქრები აიძულნენ. პირველად შევ-სხედე კლასს უცხო თვალთ. გვიცი იქ არავის არ აინტე-რესებდა. მასთან არავინ არ შეუპორობდა. იყო თავისი-თვის მარტო, ჩუმაღ, თავში რომ ჩავეტრტყა, კრინტს არ



ვე და მუშტთანად ნიკაბს მივაბეჯინე.

— გამიშვი ხელი! — წიფდასტურა. უფრო მაგრად მი-ვაჭირე მუშტი ნიკაბს და ვაიბრულე სახეში შეესხადა ჩემ-თვის.

— მიოსხარი, ფული სომ შენ აიღე?!

— გამიშვი ხელი! — უკანასკნელად შეეცადა თავის დასნას, მაგრამ რომ მისხდა, არაფერი გამოუვიდოდა, უცებ მოეშვა. — მე მხოლოდ სამი მანეთი ამოვიღე. დე-დას გეფიცები, ჩანთაში მხოლოდ ექვსი მანეთი იყო.

— რამდენი?!

— სამი. სამი მანეთი იქ ჩაეტოვა.

ხელი გავუშვი. გავიცეული ვუყურებდი, როგორ ის-წორებდა პერანგს. არ მოველოდი გვიას ასე იოლად გა-მოტყდომას. მაგრამ რას ნიშნავდა ეს „სამი მანეთი“? თუ მას დანარჩენი ფული არ ამოუღია, მაშინ სომ შეეძ-

დაძრავდა. მუდამ დაძვრთხალი, სველიანი თვალები ჰქონდა. კლასში შემოიღანდებოდა და გაიღანდებოდა. წესრიგს არასოდეს არ არღვევდა გაკვეთილზე და იმეათად იმანებდნენ სოლმე... უცებ, უცნაური სმა შემომესმა. მივიხვედ და გავოცდი. მეგის თვალბუმე სელები აუფარებინა და გრძელსა და თხელ თითებს შორის ტუნები და ცხვირია მოუჩანდა, მხრები უყასცხებდა.

— რა იყო, მეგი?! — მივბრუნდი და სელებზე სელი ფრთხილად მოვიკიდე, სასიდან ჩამოვადებინე. ღოყები სველი ჰქონდა და წამწამებზე, როგორც ბალახზე დილის ნაძი, ისე ეკიდა ცრემლი.

— რა მოვივიდა?!
— ყურადღებს ნუ მომაქცევ, სო მცი, რა სულელი ვარ. მეც არ ვციც, რა მატირებს! — თქვა და გაღიმება სცადა. — ძალიან გამისარდა, ალბათ იმიტომ ვეტირი.

— შენც გვჯერდა, სომ?!
— არა, მე ამას არასოდეს დავიჯერებდი, მაგრამ მაინც გამისარდა, — თვალები სელისგულით ამოიწმინდა და გაიღიმა. — რატომ უთხარი გივის, ამ ამბავს არავის ვეტყვიო?! ის სომ ჰქურდია?

— გვიც ცუდად მოიქცა, მაგრამ ჩვენ მაინც არავის ვეტყვი!

— რატომ?!
— უბრალოდ, ასე მინდა!
— მეც შენ?!
— მე რა?! სომ მართალი ვარ. ეს ვიცოდი მე, ასლა იცი შენ და იცის გივიც. გივის ეს ამბავი რომ გავუგოს, მან შეიძლება სკოლა მიატოვოს.

— შენ გვეჭრა, რომ გივიც მსოფლოდ სამი მანეთი ამოიღო?
— კი.
— აბა, დანარჩენი სად წავიდა?! — მეგიმ თვალი თვალი გამიყარა. მომეჩვენა, თითქოს გვევით მიყურებდა.

— დანარჩენი მე ამოვიღე! — ცივად უუთხარი.
— აბა, ნინო მასწავლებელმა მოიტყუა?

— მე მეჭრა, რომ გივის მართლაც არ ამოვიღა სამი მანეთის შეტი.

მეგომ მხრები აიჩემა და მკითხა:
— დევი, რატომ არ გაამწერე გივიც?

— იმიტომ, რომ ვე საზიზღრობა იყო, — ავღელდი უცებ. — მეორეც, იმიტომ, რომ ვე ცუდი თამაში იყო. ეჭვი ჩემზე ჰქონდათ, ჰქონდათ კი არა, დარწმუნებული იყვნენ, რომ ფული მე ავიღე. ეს რომ ასე იყო, ელენე მასწავლებლის შეკითხვიდანაც ჩანდა. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მარტო მე გვეყვანათ და გვეწმრიკეთ. ამ წესიერობანას თამაშით კი შეურაცხყოფა მიყენა მთელ კლასს.

მეგი გაკვირებული მიმხურდა, თქმით კი არაფერი უთქვამს. გზა განვაგრძეთ.

— სხვათა შორის, შენ რომ იცოდე, დღეს მე მეორედ ვიტრია! — უცებ ნურღება და ღიმილით ამბობს.

— მეორედ? მერე რისთვის?!
— შენ რომ კლასიდან გეპარდი და ერთი ამბავი

ორგი მასწავლებელი შემოვიდა. ელენე მასწავლებელი უბნება:

— ბატონო გიორგი, სედავთ, თქვენმა ჭანჭებმა ჩუამ რა ჩაიღინა?!
გიორგი მასწავლებელმა სელები გაასახავა და თქვა:

— ეს შეუძლებელია!
— მე კი კლასიდან გამოვვარდი, საპირფარეოში ჩავიკეტე და ვეპოზე ავღრიადდი. ჰმ! — გაიციან და უცებ მსუბუქად მოწყდა ადგილს. წინ გადახტა და ტანის სწრაფი, ღამაში მოძრაობით ცალ ფეხისწვერზე შემდგარი ჩემკენ შემოტრიალდა.

— იცი, შენ ვის ჰგვასარ?
მხრები ავიჩევი.

— ჩემს თავს!
— არაფერც! — ისეც ფეხისწვერებზე შედგა, რამდენიმე ბრუნი გააკეთა და მერე მითხრა: — ტილ ულენე-ში-ველებს!

— ვისა?!
— ტილ ულენე-ში-ველებს!

— მე მგონი, შენ მზუმ ღაგაკრა!
— რაო, არა გვერა?.. ტილ ულენე-ში-ველებს ზუსტად შენნაირი იყო! — ისე თქვა, თითქოს მისი კარგი ნაცნობი ყოფილიყო. — ერთი რამ გითხრა?

— რა?!
— სომ არ დამცინებ?

— არა!
— მესამე კლასში შენზე შეყვარებული ვიყავი. შენ კი ის ვერ მოიფიქრე, მაცივრიდან თოვლი გამოგეტანა.

— იციანის.
— იმედო გავიცრუე და გადამიყვარე, სომ?

— ჰმ, აბა რას ვიზამდი. მე რაინდზე ვოცნებობდი, რომელიც ზაფხულშიც მომიტანდა თოვლს და გველეშაპებისაგან, ჯადოქრებისაგან და ცხრათავიანი დვევებისაგან დამიცავდა. ღმერთო, რა სასაცილო ვიყავი!

— აბა, კარგად იყავი. იცოდე, გივის ამბავი არაუინ არ უნდა გაიგოს!

— მესმის, რაინდო! ნახვამდის! — და უკანმოუხსნავად გაიქცა.

— ჰმ! — გამეცინა. „მართლაც ვერაფერს გაუგებ ამ გოგოებს!“ — გავიფიქრე.

კიბე ავირბინე და ზარს გაბმით დავაჭირე: გუნება ერთხაზად გამომიკეთდა. კარი ქუთიმ გამოიღო და ისე შემომხედა, თითქოს თავდაყირა ვმდგარიყავი. გაუკვირება და ვკითხე:

— დედა მოვიდა?
— კი, — მომიგო და თვალი ამარიდა.

დედა ლოჯიაში თეთრულის ისე გამწარებით აუთოებდა, თითქოს ვინმეს ეკვირებოდა. როცა უგუნებოდ არის, მაშინ იფის სანქის ასე გამწარებით კეთება. შემომხედა — ცივად, გამჭოლად, დაყინებით.

— როგორ ბრძანდებით, ქალბატონო თინათინ? — მივედი და ღოყაზე ვაკოცე.

კრინტი არ დაუძრავს და არც გატოკებულა. ჩანდა, ყველაფერი იყო და.

— დევი, მითხარი, რა მოხდა?! — მითხრა მცირე ხნის მერე.

— დედა, ნუ წერვიულობ. ქეთის გვეფიცები, არაფერიც არ მოხდა!

— როგორ არ მოხდა, დეე! სამსახურში დამირეკეს, სასწრაფოდ მოდიო. გულისხეთქებით მივევარდი და ეს რომ მითხრეს, ამის მოსმენას სჯობდა, ვინმეს მოუყავალი! თუ ეს მართალია, შეილო, იცოდე, მე თავს არ ვიცოცხლებ!

ყველაფერი ისე მოუყუყუვი, როგორც იყო.

— რატომ გამოიქვიცი?!

— იმიტომ, რომ საზინდრობა იყო, ჩემში ქურდს რომ ეძებდნენ!

— შეილო, შემოგველოს ჩემი თავი, არ მომატყუო!

— დედა, რას მეუბნები!

— აბა, გაეჩხრიკეთ, მარტო შენ სომ არ გჩხრეკდნენ.

— შე არ შემემლო იმის ყურება, ჩემს გამო როგორ მურაღსყოფდნენ მთელ კლასს.

— კი მაგრამ, ახლა რაღა ეშველება ამ საქმეს?! ვინ დაგვიერებს, რომ ფული შენ არ ავიღია?!

— დედა, ნუ წერვიულობ. სულაც არ მჭირდება, ქვეყანას ვუმტკიცო, ფული მე არ ამიღია-მეთქი. მე სომ ვიცი, მსგავსი არაფერი გამიბოკებია. ეს იცის შეგიმ და იცის იმანაც, ვინც ეს გააკეთა.

— შენ საიდან გაიგე, ვინ გააკეთა?!

— ეჭვი მქონდა და...

— გამოტყდა?!

— კი. გვიხსრა, მე ავიღო. მაგრამ იმდენი არაფერიც უოფილა, რაც ითქვა. იმ ბიჭს მხოლოდ სამი მანეთი ამოუღია.

— აბა დანარჩენი სად წავიდა?! — დედაჩემის თვალბუბში ისევ ეჭვი გავრთა.

— არ ვიცი, მაგრამ ის კი მჯერა, რომ იმ ბიჭს სამი მანეთის მეტისთვის სული არ უხვლია...

ტელეფონმა დაარეკა. ყურმილი ქეთიმ აიღო და ჩასაძახა!

— პატრონო! — წამიერი დუმილის მერე თქვა: — ახლავე! — ყურმილი მაგიდაზე დადო. — დევი, შენ გეძახიან, მეგია!

— გისმენ, მეგი.

— დევი, გივის მართალი უთქვამს. მას მართლაც მხოლოდ სამი მანეთი ამოუღია! — მომხარა განხრებულმა.

— საიდან გაიგე?! — ავღვლი.

— ნინო მასწავლებელს დაურეკავს ელენე მასწავლებლისთვის, უთქვამს, რომ დილით ჩანთიდან მის ქმარს ამოუღია და სინქარეში მისი გაფრთხილება დაერწყებია. ნინო მასწავლებელს მხოლოდ სკოლაში მოუძვეებია ფული და რომ ვერ ნახა, ეგონა დაეკარგეო, გაიგე?

— გავიგე. შენ სად ნანც ელენე მასწავლებელი?!



მეტი წამით თითქოს დაიბნა, მერე მითხრა:

- გზაში შეუსვდა.
- სომ არაფერი წამოგცდენია?
- არა, რას ამბობ, არაფერი მითქვამს!
- კარგად იყავი. ვმადლობ, რომ დამირეკე!

ყურბილი დაედო და დედას მიმუხრუნდა:
- აბა, სომ გეუბნებოდით, ის ბიჭუძე მართალი ვა-
მოღვა. ნინო მასწავლებლის ჩანიდიდან ას ოცდაათი მა-
ნეთი დილით ამოუღია ქმარი.

- ის სამი მანეთი მაინც ვინ აიღო?
- ვერ გეტყვი, დედა, საჭირო არაა!
- როგორ, შენ არ ეტყვი კლასს, ვინ არის ქურდი?!
- არა, მე ამას არავის ვეტყვი. თუ თვითონ იტყვის,
სხვა ამბავია, თუ არა და, მე ამის მითქმელი არა ვარ!
- სადაღოს სამასხურიდან დაბრუნებულ მამას ყველა-
ფერი მოუყვებით.

- იმ ბიჭის სომ არ გეშინია, დეე, და იმიტომ სომ
არ აფარებ სულს?

- არა, მამა. მეშინია კი არა, მეცოდება! - წამოვი-
ძახე - იგი მამამ მიატოვა. რაღაცნაირად დაჩაგრულია.
თან უნაწიო ერთმა მოსულდინო ბიჭმა გამოიჭირა და
ცემის მუჭარით ფულსა სძალავს. მართალია, ცუდი საქ-
მე ჩიდიანია, მაგრამ ჩვენც მიგეძღვის შრალი. მას კლა-
სში არავის იმედი არა აქვს - არავინ შეგობრობს მას-
თან. არავინ პუჯას ისეთი, ვისაც ვტყვის, გურამი ფულს
მძალავსო. მევე ოჯახში იტყვის, რადგან იცის, რომ
დედამისს ფული არა აქვს. მე რომ ახლა ეს ვთქვა, ის
შეიძლება სულ აღარ მოვიდეს სკოლაში. თქვენ რას
მირჩევთ, ჩემი თავმჯდომარეობა რომ ამ შევალსო, ეს
უშუალო ნიშნე ვაგევე? გავიფიქრო მისკენ სვლი და
სახეიმოდ გამოვიცხადო: ქურდი მე არა ვარ, ქურდი აი,
ეს არის! მითხარით, მართალი ვიქნები?

დედილი ჩამოვარდა, მამა ზურგზე სვლედამწოზი-
ლი მოლთას ცემდა, სოლო დედა ისე შემომტკეროდა,
თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, ეს ნამდვილად მე
ვიყავი თუ არა.

- შენ მართალი ხარ, დეევი! - თქვა ბოლოს მამამ.
- არ ვიცი, რამდენად პედაგოგიურია ჩემი მოსაზრება,
შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მაინც შენს მსარესა ვარ.
ჩვენ გვზრდიდნენ ჰუმანიტეტბაზე: არ იცროთ, ყოველ-
თვის სიმატილედ თქვი, მისი დამაღლა უწინოება. მაგრამ
არის კი მისი დამაღლა ყოველთვის უწინოება? აი, ვე-
ქვიმი ვარ, ჩემთან მოდის ავადმყოფი. ესინჯდე მას. ვა-
ჩნეე, რომ უკურნებელი სენი სჭირს. „იქნებ ვცდებდი?“
- ვფიქრობ და საკუთარ თავს არ ვუნდობი, - ანალიზუბ-
საც ვაკეთებინებ, კოლეგებსაც ვასინჯინებ. ბოლოს ჩე-
მი ვარაუდი მართლდება. პაციენტი ავთვისებიანი სი-
ნივითა ავაღ. ვიცი, ოპერაცია დაგვიანებულია, მაგრამ
მაინც მაქვს ვაღაწვეტილი, ოპერაცია გაუკეთო, რად-
გან ახე ცოტა მეტ სანს იყოცნდებს. როგორ მოვიტყე?
რომელია ამ შემთხვევაში სამართლიანი - სიმატილის
თქმა თუ ცხადი სიცრუე? მე მიმანია, რომ სიცრუე ჯო-
ბია და ვცრუობ. ავადმყოფს მსიარულად ვუბნებები:

- სამიმი არაფერია, მაგრამ, ყოველი შემთხვევი-
სათვის მაინც, ოპერაცია უნდა გაკეთდეს. მწამს, რომ

ყველაფერი კარგად იქნება!

მასსოვს, მეცნე კლასში ფანჯრის მინა გატყდა. რა
თქმა უნდა, მევე კლასში იცოდა, ვინც ეს ვაგაკეთა,
მას შემთხვევით მოუვლიდა. ისეთი შეკრე დარწმუნებ-
ვეყავდა, ჩამამშემართული თოფითი გვემინოდა მინი.
უფროკლასებელი ძობას ეძახდნენ. მერე ვაგევი, ძობა
თურმე საზარელი ურჩხული ყოფილა იაბონურ ფო-
ლოკორში. პოდა, წარმოიდგინეთ, დამნაშავე რა დღეში
იქნებოდა. და აი, ძობა შემოდის კლასში და კითხულობს:

- მორიგე, ვინ ჩამატყრა მინა?
- მორიგე დეგმა და მხრების აჩეჩით ამბობს:
- არ ვიცი, პაციენცეულო, - თან სახეზე ფერის ნა-
სანი არა აქვს. ძობა კლასს მიმართავს, მაგრამ კლასი
დუმს. ახლა სათითად ვეკითხება, ვინ ჩამატყრაო,
მაგრამ ყველა, როგორც ერთი, ამბობს:
- არ ვიცი!

არადა, იმ კანონით, იმ ჰუმანიტეტით, რომლითაც
გვზრდიდნენ, ყველა წესიერად აღზრდილს უნდა გაე-
ვირა თითი და ეთქვა: მინა შოთა წულისკირმა ჩამატე-
რიაო. იმედი მაქვს, დღევანდელ სკოლებში ასეთ მეთო-
დებს არ მიმართავენ. სჯობს, ყველა ფანჯარა ეშმაკმა
წაიღოს, ოღონდც ბავშვებს გამყიდველობას, ვამცემო-
ბას ნიშნევევენ! - გახსარებ! - შენ როგორც მი-
განია სწორად, ისე ვააკეთე, დეე!

იმ დამით დიდხანს ვიფიქრე და ვაღაწვევიტე, გივის-
თან მევეგობრა. დილით სკოლისკენ მიმავალმა მასთან
შევირიბი. კარი დედამისმა გამიღო. მალაღმა, თხელმა
ქალმა, რომელსაც მოკლედ შევხვდი ქერა თმა დაუ-
ვარცხნელი ჰქონდა და უცნაურად გაჩეჩოდა. ნამტირა-
ლელი ბოლები ჩაწითლებოდა.

- შოლიში, ქალბატონო, გივი წავიდა სკოლაში?
- სად უნდა წასულიყო, აგერ ავდია ლოგინში!
- რა მოუვიდა?!
- სიკვდილი ეტება, ფესი აქვს ნადრობი!
- თუ შეიძლება, ვნახავ?
- შემოდი!

ოთახში დასუთული პაერი იდგა. საბაზანოდან გი-
ვის პატარა და გამოვიდა. შემეცნალი, მოღუშული სახე
ჰქონდა. თვალდაუჯამსამებლად შემომტკეროდა და ფო-
რმის კანის მარჯვენა სახელოს მარცხენა ხელით შეკ-
ვრას ცდილობდა, მაგრამ დილს კილოში ვეღარ უყრია
და წვალობდა.



დასასრული შედგა ნომერი



ჩვენთან სტუმრად ბარის სომხეთის ალკა ცა-ისა ლა შ. ი. ლმინის სახელობის პირენატა ორბანიჭაციის რესპუბლიკური საბავოს საბავშვო შარნაღი



უჩინსე

თუ გინდა

თუ გინდა,
ოცნებით იხილო ზღვა,
წამოწეკ წაბირზე მდინარის
და წარმოიდგინე:
აგროვებ ნივარებს,
იოელი შარგალიტებს,
ბინადართ ნივარის.
თუ გინდა,
ღვთისმშობლის უსმინო სმას,
გულში ჩაგვღვაროს
სიაზე ციური, —
მშობელი ქვეყანა
იწამე ლმერთად და
ისმინე მისი სმა,
მარადის ღვთიური.
თუ გინდა,
მამულის წიაღს აშობინო
სიტყვები ლამაზი,
ასალი სრულიად, —
შეიტკბე ღვღაუნა,
შენს ირგვლივ რაც არის,
იგი ყველაფერში განზავებულია.
თუ გინდა,
ასლოდან შესეღო შუხე,
შესეღე ღვღაშენს,

(ო, როგორ გათბები),
ისა შენი მზე,
ის შენთვის იწეება,
მამ, შენც გაათბე
ღვღისთვის სათქმელი!

სირინ პარნიანი,
ტჩაიძინი, მე-10
საშუალო სკოლა, VII კლასი.

გაზაფხული მოვა

მთელი ღამე თოვდა,
თოვდა,
ღვღსაც თოვს და თოვს,
ყველა ქუჩა,
ყველა ოღა
ღვღაურავს თოვლს.
ღვღაურასთან მუშად მღვარი
მეც შეგვარს თოვას, —
ვიცი, მალე სანუკვარი
გაზაფხული მოვა.


ლუსინე არუთუნინანი,
ტრევიანი, ა. ს. პუშკინის
სახელობის საშ. სკოლა, IV კლასი.



ნუ გეშინია

ჩემს ხელში მტრედი
თრთის და ცხცხცხს,
მისუტებული გულთან;
როგორც ბავშვობის
მტრედისფერ ღვღებს,
მსწრაფლ გამიფრინდეს, უნდა,
ნუ გეშინია, ჩემო ლამაზო,
ასლუ აგაფრენ ცაში,
გაინავარდებ თავისუფალი,
ფრთებს ძველებურად გაშლი.
როცა თვალთავან მიმეფარებო,
თუ გამისცნებ მაშინ?

ნაირა სიმონინანი,
ბოგდანოვკა, უშტის
საშუალო სკოლა, IX კლასი.



შ. ი. ლმინის მშობლის მარბანის

გაბია არუთუნინის ფოტო



წერო ე კი მოხდა რაღაც... თუმცა ისეთი არაფერი. უბრალოდ, ჰაიკს საულვაზე გაემუტრა და სახვლიოდ საპარსის საყილად მოემზადა, რათა მერე სარკის წინ დამდგარიყო, სახე გაესაპნა და წვერი გაეპარსა, დედას კი გულზე ხელდაკრეფილს აღტაცებითა და იმედით ედევნებინა თვალი და დროდადრო ცრემლები მოეწმინდა.

ჰაიკსა და დედამისს ერთნაირად სთლდათ გრძელი გზა, განსაკუთრებით, გადასახვევი. ხეზე კი სულ არაფერს ფიქრობდნენ, არც ავს და არც კარგს. ნელ-ნელა, დღითიდღე ჰაიკის მენსიერებიდან იშლებოდა მამის სახე, ნაკეთი ნაკეთს მიჰყვებოდა, მერე ხმაც გაქრა, მზერაც,

იგივე ემართებოდა დედასაც. გამოკრთებოდა მენსიერებაში. ჩაქრებოდა და იბინდებოდა.

ნაღვლიანი ამბავია, არა? ბევრი

წიქილაბა,
მს
პატარავი
მხატვარი
არ
ბავშვიდნენ,
ბაბაბა
ხილოვნება
რომ
მსპარიათ,
მს
ნაშავლია



დაიღალა ჰაიკის მამა. საკუთარმა თავმა დაღალა, მარტობამ, უწინდელმა და ახალმა შეცდომებმა დაღალეს. შვილი მოენატრა, ცოლის წინაშე დანაშაულის გრძნობამ შეაწუხა და იყვირა. ოღონდ თავისთვის, გუნებაში. მერე თავისი მიმოფანტული სიყვითე დიბირუნა, შეაკოწიწა და გზას დაადგა. იმავე გზით უკან მოაბრუნებდა.

ისეთივე მძვინვარეობა იდგამოხანი, ან იქნებ სულაც არ იყო ის დღე მზიანი. იქნებ წვიმდა ან სეტყვა მოდიოდა, თუმცა ყოველი დღე მშვენიერია, წვიმიანიც და მზიანიც. მამამ გადმოუხვია. გადმოუხვია და ხესთან შეჩერება მოინდომა. იცინოდა. იცინოდა და ნაღვლობდა, ოღონდ თავისთვის, გუნებაში. იმ სიხარულით, იმედებით და ნატვრით იყო აღსავსე, მუდამ რომ ახლავს თან ადამიანს. მამა უახლოვდებოდა, უახლოვდებოდა.

იცნო კი ჰაიკმა მამა? გამოეგება? გაიხარა დედამ, თუ დიდონდა? რა გაიფიქრა მის დანახვაზე?

ქვეყანა დიდია, კიდევ უფრო დიდია ადამიანის გული, ხოლო იმაზე კიდევ უფრო დიდია სიყვარული. წამსვლელებზე მეტი ისინი არიან, ვინც ბრუნდებიან.

და ადამიანს პატიების უნარიც ახასიათებს.



თი-თორმეტი წლის გოგონა ყოველ სისხამ დილით გამოდიოდა ზღვის ნაპირზე.

არაინ იცოდა, ვინ იყო და სად ცხოვრობდა. იმდენად სევდიანი და ნაზი იყო, ასე მეგონა, მზემ და ზღვამ შეგმენს-მეთო, მზემ — თავისი სიხვეებით და ზღვამ თავისი სილურჯით. ყვითელი თმები და ზღვასავითი ლურჯი თვალები ჰქონდა; და ხან მზე კრთოდა მის თვალებში, ხან ზღვის დაუსაბამო სილურჯე იდგა. არაჩვეულებრივი თვალები ჰქონდა. გეგონებოდათ, ზღვა რაღაც სასწაულით გაიყო და, გოგონას ქუთუთოებში ჩამდგარი, თვალებად იქცაო.

ზღვასავითი ლურჯი კაბა ეცვა, ნაზი და გამჭვირვალე, იგი ნისლივით ებურთა მის მზემოკიდებულ ტანს. არ ვიცი, ზღვაზე როდის გამოდიოდა, ის კია, რომ ყოველი ალიონის წინ აქ ვხვდებოდი ხოლმე, მუდამ ის ლურჯი და ჰაეროვანი კაბა ეცვა. თავიდან ვიფიქრე, ობოლი იქნება-მეთოქი, მებრალეობოდა. ნელა დადიოდა, ჩაფიქრებული, ხმას არ იტვიზდა. ხანდახან დაიბრებოდა და... ქვეშაში რაღაცა ეძებდა. ზღვის ჯანდა მისთვის არაფერი არსებობდა... ხოლო როცა ქალაქი იღვიძებდა და ზღვა ხალხით ივსებოდა, გოგონა ისევე შეუმჩნევლად ტოვებდა იქაურობას, როგორც ჩნდებოდა. თვალები სევდიანი ჰქონდა, სახის ნაკეთები — ნაზი და ნატოფი.

ვინ იყო?
რას ეძებდა?
რატომ იყო მუდამ მარტო?
გოგონა ამოუცნობ საიდუმლოდ რჩებოდა ჩემთვის.

ერთხელ უძილობამ გამაწვალა და უთენია გამოვედი ზღვის ნაპირზე. მართალი გითხრათ, არ ველოდი, თუ იმ დროს იქ დახვდებოდა, მაგრამ იქ დავინახე.

სევდიანი დღე იყო. ზღვა დეღავდა. ასეთ ამინდში ბანაობა აკრძალული იყო. ქაფმოგდებული ზღვა დღეღავდა, მობოჭრობდა, ავისმომასწავებლად ჰქინავდა.

წყნარ დღეებში თვალი ადვილად დავინახავდა წითელი ბურთებით შემოსაზღვრულ ცურვისათვის დასაშ-

ვებ ზონას. იმ დღეს კი ეს საზღვარი წამით თუ გამოჩნდებოდა ხოლმე წყლის ზედაპირზე და უმაღლესი ტალღებში ინთქებოდა. ზღვას მიეჩერებოდი, ცვილობდი, ის დასამუგები საზღვრები გამეჩრია. უცბაად ტალღებში რაღაც გამოჩნდა და ისევე გაქრა.

ვიღაც იხრჩობოდა.
უხეხებლად წამოვხტი. დაეყვირება მოვინდომე, უშველეთ-მეთოქი.

გოგონა და ზღვა

გ თ ხ რ თ ა ა

პლაჟზე არაინ იყო.
მაშველი ნავე ლუზაზე იყო გამოხმული.

ისევე ზღვას მივაჩერდი, მაგრამ ის წერტილი ვეღარ დავინახე.

ერთი პირობა ვიფიქრე, მირაქია-ეთოქი, მაგრამ მაღვ ტალღებში ყვირთელი თავი გამოჩნდა. ის იყო, გოგონა, შეუბოვრად ებრძოდა ტალღებს. მოჭაფრებულივით მივჩერებოდი, მთელი ტანით ვცახცახებოდი. ზღვას მივაშურე, მაგრამ ფეხზე მოხვედრილია ცივმა ტალღამ გამომაფხიზლა. შეძრწუნებულმა უკან დავიხიე, მაგრამ რაღაც ძალა კვლავ ზღვისკენ მეწყოდა. იმავე ძალამ თუ გოგონას უფრო ახლოს ყოფნის სურვილმა ზღვაში ას მტრზე შეჭრილ ბეტონის ნაფისადგომთან მიმაგლო. ახლა უფრო ახლოს ვიყავი მასთან და უკეთაც ვხედავდი, როგორ ებრძოდა ტალღებს, გამბდარი ხლებით აპობდა წყალს და ვსაოთხარი ძალით მოიწევდა წინ. შიშით გავყურებდი აზავთებულ ტალღებს, ღრიალით რომ ასკდებოდნენ მის ნაზ მხრებს.

გოგონა შეუბოვრად მოიწევდა ნაპირისკენ. ერთი წამით მომეჩვენა, რომ დიდილა და ქანცგალეული დანებდა ზღვას. გული გადამიქანდა

და კვლავ მოვინდომე, საშველად მეხმე ვინა? მაგრამ გოგონა კვლავ გამოჩნდა.

უკვე ვარკვევით ვხედავდი მის სახეს, ნაპირს უახლოვდებოდა დასართვეწველი შიში აღფრთოვანებით შემეცვალა, აღტაცებული ვეყურებოდი. რაც უფრო უახლოვდებოდა გოგონა ნაპირს, მით უფრო ძლიერდებოდა ტალღები. უცბად ერთი ვეება ტალღა მოულოდნელად წამოეპარა და მე დავინახე, როგორ ჩაიტანა მან გოგონა სიღრმეში. ის რამდენიმე წამი უსასრულოდ მომეჩვენა, იქ ვეძებდი გოგონას, სადაც უკანასკნელად მოვაკარი თვალი, ის ვეება ტალღა კი ნაპირისკენ მოიწვედა, ტალღას გოგონაც ამოჰყვა. ნაპირი სულ ახლოს იყო. მე ავეყირდი და გახატებული მის პარალელურად სირბილს მოვეყვი.

ნაპირზე რომ ამოვიდა, უმაღლესი გვერდით გავჩნდი. თვალებს ვერ ვეჭყერებდი. საშინლად დაქანცული იყო. გვერდით მივუჭექე, აღტაცებული ხმის ამოდებასაც კი ვერ ვახერხებდი.

სისხრულის ცრემლები მომადგა. ის კი ზურგზე იწვა და ცდილობდა დასახელობისაგან განთავისუფლებულიყო.

მეგრად აუდიოდ-ჩაუდიოდა, კუნთები უკრთობდა. ვუყურებდი და მიყვირდა, როგორ შეძლო ზღვის დაუოკებელი სტიქიის დამარცხება.

— არ გეშინოდა?
გოგონა ნელა წამოაჯდა, ნაღვლიანად შემომხედა და მითხრა:
— შეჩვეული ვარ და ზღვისა არ მეშინია.

— ასე მარტოს ზღვაში როგორ არ გეშინია? შორს რატომ შესცურა?

— დედასთან მივცურავდი, — მშვილად მიბასუხა გოგონამ.

— დედასთან? რა, დედა ზღვაში ცხოვრობს? — გავოცდი.

— დიახ; უკვე სამი წელია იქ არის და მე ყოველდღე მოვდივარ მის სანახავად.

ვერაფერი გამეგო. ის კი აღარაფრის თქმას არ აპირებდა.

სიჩუმის დარღვევას ვერ ვხედავდი, უამრავი კითხვა გამიჩნდა და

გამიქრა. შეიძლება ჩემმა გაცვირველულმა მზერამ ალაპარაკა.

— ეს სამი წლის წინათ მოხდა. მე და დედა ზღვაზე მოვედი. დედა აქ გაიზარდა და ჩვენც აქვე ვცხოვრობთ. ახლა ბებიასთან ერთად ვარ.

ჩქარა ლაპარაკობდა. დღევანდელი ამიღამ დაიწყო მთელი დღე და გაურკვეველი გამოსდიოდა.

უშინარი იყო. ვერაინი ცურავდა ისე, როგორც დედაჩემი, ძალიან შორს მიცურავდა ხოლმე.

ყოველთვის თან მიყვავდი. ერთხელ, როცა ძალიან შორს შეცურეთ, ზღვა განრისხდა ცა ერთბაშად მოიქუფრა. ზღვა ამოიპყრა.

ჩვენ უკვე ვბრუნდებოდით, ნაპირამდე ცოტადა იყო დარჩენილი, თანაც ორნი ვიყავით და არ ვგუშინოდა.

ჯერ ერთად მოვეცურავდით, მხარდამხარ, მერე კი დედას შეეშინდა, ტალღებს არ დავეშორებინეთ და ცალი ხელი შემომხვია. ზღვა კი უკვე ვად დღეობდა. ნაპირთან სულ ახლოს ვიყავით, როცა დავინახე, რომ დედა იხრჩობოდა. დამაბულობისგან სხეული გუქვავდა, ფეხები აღარ ემოთილებოდა. ზურგზე გადაბრუნდა. ცალი ხელით მე ვყავდი ჩაბღუჯული და ისე მოცურავდა, ტალღები კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ. უცბად ერთმა ტალღამ აგვიტაცა და ბუღში ჩავგვიყრა. ვივრჩინე, როგორ მიმიბეგა დედამ შევითყენ და მე თავზე მოვიქექე ტალღას, რომელმაც ნაპირზე ამოვადო.

როცა შეგბრუნდი, უკან დაბრუნდები და დედას შეეშინდა, ტალღებს არ დავეშორებინეთ და ცალი ხელი შემომხვია. ზღვა კი უკვე ვად დღეობდა. ნაპირთან სულ ახლოს ვიყავით, როცა დავინახე, რომ დედა იხრჩობოდა. დამაბულობისგან სხეული გუქვავდა, ფეხები აღარ ემოთილებოდა. ზურგზე გადაბრუნდა. ცალი ხელით მე ვყავდი ჩაბღუჯული და ისე მოცურავდა, ტალღები კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ. უცბად ერთმა ტალღამ აგვიტაცა და ბუღში ჩავგვიყრა. ვივრჩინე, როგორ მიმიბეგა დედამ შევითყენ და მე თავზე მოვიქექე ტალღას, რომელმაც ნაპირზე ამოვადო.

ტუნჩები უთრთოდა. გოგონა დაღუძდა.

ვეგრძნობდი, როგორ იმავრებდა ლურჯ თვლებში დაგუბებულ ცრემლებს.

როცა დაწყნარდა, მღელვარება დაივიწყე, გამხდარ მხრებზე ხელი შემოვივლე და შინ წასვლა ვურჩიე.

წამოდგა, მაგრამ შინ წასვლაზე უარი მითხრა.

— აქ კიდევ მაქვს საქმე, ზღვის კენჭები უნდა შევაგროვო.

— რათ გინდა?
— დედაჩემს ვხატავ.
— ზღვის კენჭებით?
— ჰო, მოზიკით.
— შეიძლება ვნახო ეს პორტრეტი?

— ჯერ არ დამიმთავრებია, — მითხრა და გაჩუმდა, ცოტა ხნის მერე კი დასძინა: — თუ გინდა, წამოდდი.

ჯიბეები კენჭებით და ნივარებით გაივსო და მითხრა:

— ბებიასთან დღევანდელზე არაფერი წამოგცდეს, თორემ ზღვაზე აღარ გამოიმშვებს.

აღვუთქვი, რომ არაფერს ვიტყოდი, თუმცა რაღაც შინაგანი ხმა მაიძულებდა, არ მიმელო ეს პირობა.

მართლაც ზღვის ახლოს უცხოვარი. მთავარი ქუჩა გადაღვევით და ერთ მიმართკენ მიწვანე ქოშაკთან გაეჩრდილ, რომლის მიღმა ორსართულიანი თეირის სახლი მოჩანდა. ეზოში რომ შევედი, შემაჩერა და კლდევით ერთხელ გამიმეორა, დღევანდელზე არაფერი წამომცდენოდა. დღევანდელში სამი კარი გამოიღოდა. ბოლო კარს მიუახლოვდა, ყურთამდე გააღო და განზე გადასწია. მე მიუახლოვდი, მაგრამ გაოგნებული უშალ შევედი. ჩვენს თვალწინ ბოტოქარი ზღვა გადაშლილიყო.

მომიჩვენა, რომ კარი პირდაპირ ზღვაში გადაიღოდა.

ზღვის ცივი სუნთქვაც კი ვიგრძენი. ტანში ერთბაშად დამიარა, ავცახცახებდი.

მერე, გონს რომ მოვეგე, წინ კი გადავდი ნაბიჯი, მაგრამ ავღუქვებულმა ზღვამ კვლავ შემაჩერა.

ვეგრძნობდი მის მოძრაობას.

აქვფებული ტალღები ჩემსკენ მოიწვედნენ. მოჭფურული ცის ფონზე შაით სითოთე კიდევ უფრო მკვეთრი ჩანდა, წყლის სიღრმისგან კი შვევნიერი ფერია ამოდიოდა, მისი ოქროსფერი თმები ტალღებში ლოვლავებდა. ზეაწეული ხელით ფერია ბუნების გააუბნებულ სტიქიონს აოქებდა.



● ცოტაც და, ქანდაკება მზად იქნება! ●

ფერია მე მიმზერდა. მის მზერაში შემფთობდა გამოკრთოდა, მოკუშული ტუჩები კი გასაოცარი ნებისყოფაზე მტყუპებდნენ. თვალბეჭეტი იმედის ციციანთელა უციაგებდა. ეს ალბათ სწორედ ის წამი იყო, როცა მან უქანასკნელად მიქარა თვლილი ნაპირს, სადაც მისი გოგონა იდგა.

მე მოხიბლული შევეცქერიდი ქალს, რომლის თვალითა ელვარებამ თავის სიხვებში გამხვია და მომაჯადოვდა, ლენა კი (ასე ერქვა ჩემს ნაცნობ გოგონას) მაკიდაზე ალაგებდა ჯიბიდან ამოღებულ ფერად კენჭებს და ნივარებს. გოგონამ გამოცინო ჩემი მდგომარეობა.

— ჯერ არ დამიმთავრებია. ხედავ, ცას წაწილი აქლია.

